



# უკვე დავლუკუპარი, გატონო ავთანდილი!

12 აპრილის გზით „ლელო-ში“ დაბეჭდილი წერილის „ასე — დავილუბებთ, ხალო!“ ამ წამალს შეძახილზე ავტორს ასე შეგვიძლია ვუხსოვს: „უკვე დავილუბეთ, ბატონო ავთანდილი!“ თუ რატომ, ამის შესახებ ბოლოს მოგახსენებთ.

ახლა კი ცოტა რამ შევნიშნავთ: ვიღაცის წერილის შესახებ:

**1. შარნალისტური ეთიკა**  
მართალია, ბატონი ავთანდილი ჟურნალისტი არ ბრძანდება, მაგრამ ალბათ უბრალოდ იქნება სამომავლოდ ეს რჩევები გაითვალისწინოს:

ა) ჟურნალისტი (თუნდაც პედაგოგი), რომელიც კრიტიკულ მასალას ამზადებს, თავის ზრახვებს არ მალავს (იქნებ ვინმეს რაიმე დასცდეს), პირიქით, ხშირად აცხადებს ამის შესახებ და თან ამატებს, იქნებ ყველაფერი ზუსტად გაიხსენოთ.

ბ) არ ამახინჯებს ფაქტებს და არ სთავაზობს მკითხველს ვინმეს ნათქვამს სხვა, თავისთვის მომგებიანი ინტერპრეტაციით.

გ) სტატიის მოზადებისას, ჭეშმარიტების მისაცემად, მასში მოხსენიებული ხული ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ერთს კი არა, ყველას ხვდება და ესაუბრება.

## 2. სურათის გაშუქების მეთოდი:

თავის სტატიაში ბატონი ავთანდილი ციხაძე ცდილობს გააშუქოს სურათი. კერძოდ, წერს რომ 8-ჯერ ანახსენებდა — „50-მდე ბავშვის ქუჩაში გამოყრა“, არაერთხელ — ასეთი „გულის დათუთქველი“ ფრაზები: „50 ბავშვი შენი მიზეზით სწავლა სისხლსავე ცხოვრებას“, „განწირული ბიჭების ბედი“, „სპორტის ჭეშმარიტი ქომაგები ამაღურდნენ“, „მუქარა ბიუროკრატთა უახანგებთან ჩაცხრა“, „ლეონები გარეთ გამოყრა“, „რკინის ქალაქში მინდობილ ადამიანებს ბიჭებმა...“

რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო? იმისათვის, რომ მკითხველს შეეცოდოს 50 (სინამდვილეში კი 20-მდე) „ვიღობის ტრფილი“ ბავშვი და ყალიბი წარმოედგინა შექმნას წერილში ნახსენებ ორგანიზაციებს.

მთავარ კითხვებზე პასუხი კი შეგნებულად არ არის გაცემული: რის საფუძველზე, ვისი განკარგულებით შევიდა ათლეტთა კლუბი გრიბოედოვის №14-ში.

გთავაზობთ რევი ყვარულაშვილის სახელობის კლუბის მწვრთნელ ა. ა. ჭყონიას ახსნა-განმარტებით ბარათის (3.XI.88 წ.) ნაწყვეტს:

„...დარბაზში იყო ანტიანტიკარია და სინესტე. 1988 წლის სექტემბერში ჩემთან მოვიდა ათლეტური ტანვარჯიშის ცენტრის უფროსი გ. ნ. ხომერიკი, რომელმაც შემომთავაზა, რომ კლუბში გავაერთიანოთ სექციური მუშაობა და ათლეტური ტანვარჯიში. ამ შემთხვევაში კლუბში ჩატარდება სანატორიო რემონტი...“ (სტილი დაცულია).

აი, ბატონო ავთანდილი, როგორ იყო ყველაფერი, ვისი თანხმობით გაკეთდა ათლეტთა კლუბი გრიბოედოვის №14-ში. თქვენ კი მკითხველს შეეცდომას შეგყავთ, თითქოს გ. ხომერიკმა „ლეონები“ გარეთ გამოყარა... რომელთაც „50-მდე ბავშვი“ და მოვიდავთა ორი მწვრთნელი მიაყოლა. თქვენ წერთ, მათ რაიკომი, აღმასკომი, სპორტკომიტეტი დაეხმარათ. ეგვი სიცრუეა

და იმ იმედითაა დაწერილი, რომ დღეს რაიკომშიც და აღმასკომშიც სხვა პიროვნებები მუშაობენ და 2 და მითუმეტეს 8 წლის წინ რა ხდებოდა, მათ არ ეცოდინებათ.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, რაიკომის ყოფილი მდივანი და აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე მაშინ გაიყვანა ყველაფერი, როცა ა. ა. ჭყონია და გ. ნ. ხომერიკი სხვების ჩაურევლად შეთანხმდნენ. ეს ახსნა-განმარტებებიდანაც კარგად ჩანს — ხომერიკი ჭყონიასთან 1988 წლის სექტემბერში (IX თვე) მისულა, ახსნა-განმარტება კი სპორტკომიტეტში იმავე წლის ნოემბერში (XI თვე) დაიწერა.

3. „სიცრუე და ორპირობა ავანებს ხორცსა, მერმე სულსა“.

ახლა, ბატონო ავთანდილი, თქვენ განსხვავებით ფაქტებით ვისაუბროთ. მოვიყვანოთ ციტატები თქვენი წერილიდან და დავასაბუთოთ მათი მცდარობა:

1) „რაიონის არც ერთ ორგანიზაციას არ საქმეში (იგულისხმება სარდაფის საკიდაო კლუბად გადაკეთება ავტ.), როგორც იტყვიან, თითო თითზე არ დაუყარებია“.

ახლა, პატრიკეპელი მკითხველო, წარმოიდგინე, რომ 8 წლის წინ, გრიბოედოვის ქუჩაზე მისეირობენ მუხიანის მცხოვრებნი, მწვრთნელები ა. ჭყონია და გ. სუთიაშვილი და უცებ „შემთხვევით აღმოაჩინეს“ №14 სახლის მიტოვებული სარდაფი (მკითხველო, ხომ არ გავიანებთ ეს ამბავი რაიკომის ერთ-ერთ გამოს, რომელმაც ბუნებრივად „შემთხვევით აღმოაჩინა“ მიღებული რიოალი), რომლის შესახებაც აღმასკომმა, საბინაო ტრესტმა, საექსპლუატაციო უბანმა არაფერი იცოდა და არც მომავალში დაინტერესებულა, ნეტავ რა ხდება აქ ჩვენი ნებართვის გარეშე. დიაცრე, მკითხველო? საექვეა.

2) „მის ადგილზე მამაგარი ბევირის დამფარავი წარწერა — „სულტურული ცენტრი“ (ამ დასახელებების შესახებ კომკავშირის რაიკომში მაცნობეს)“. აი, ბატონო ავთანდილი! კომკავშირის რაიკომში თქვენს შეკითხვაზე თუ ვის ვაძუთვინის აღნიშნული წარწერა, ასე გიპასუხეს: „წარწერა ეკუთვნის კულტურულ ცენტრს, რომელიც ბინადრობს ამავე ნომერში არსებულ ვეტერანთა კლუბში და არა ათლეტთა კლუბს“. ამას უბრალოდ რაიკომის სკომში კითხვა უნდა და და არა რაიკომის და ათლეტთა კლუბის ხელმძღვანელთა ნათქვამის სტატიებში ეჭვის შეტანა. ამბობთ: „თუ ექვს ამას საქმისთვის მნიშვნელობა არა აქვს“, მაგრამ აქვს, ბატონო ავთანდილი, აქვს, იმიტომ, რომ თქვენ სიცრუეში ბრალს სდებთ რაიკომის და კლუბის ხელმძღვანელებს.

3. „რაიონის ხელმძღვანელობამ მათი თხოვნა დარბაზის რემონტის შესახებ უყურადღებოდ დატოვა“.

ყოველთვის, როცა ბრალს სდებთ ვისმეს, ბატონი ავთანდილი ზოგად საუბარს ამჯობინებს. საინტერესოა, რომელ ხელმძღვანელობაზე საუბარია? როგორც ძველმა, ისე ახალმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მათთან არაფერ, არასდროს ზემოაღნიშნული თხოვნით არ მისულა. ხედავთ, ბატონო ავთანდილი, რვა წლის წინანდელი ხელმძღვანელები მოვიძიეთ ჭეშმარიტების დასადგენად.

4) „ამ შეთანხმების ტექსტი რაიონის სპორტკომიტეტში დაიწერა

და იგი დღესაც აქ ინახება“.

ამ სიტყვებში მხოლოდ ერთი რამაა სწორი, ტექსტები სპორტკომიტეტში საბედნიეროდ მართლაც ინახება, მაგრამ არა შეთანხმების. აქ ინახება ახსნა-განმარტებით ბატონი გ. ხომერიკის და ა. ჭყონიას ხელმოწერებით. მკითხველს ალბათ აინტერესებს, თუ რატომ დაიწერა ბარათები: ახსნა-განმარტებები დაიწერა სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ჯ. ჭამუშაძის მოთხოვნით, რადგან „რაიონის სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელი“, როგორც ბატონი ავთანდილი ირონით აღნიშნავს, არ დაეთანხმა ხომერიკისა და ჭყონიას შეთანხმებას, მაგრამ როდესაც ორივე მხარემ დაინებთ მოითხოვა გრიბოედოვის №14-ში ათლეტთა კლუბის განხსნა, თავმჯდომარემ მათ დააწერინა ის ახსნა-განმარტებით ბარათები, რომლის ტექსტის ციტირება ზემოთ მოხდა.

ეს შეცდომა კი, ბატონო ავთანდილი, იმიტომ გავაგებარათ, რომ სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრა, მიუხედავად მისი თხოვნისა თქვენთან ტელეფონით საუბრისას, არ ისურვეს.

5) „მოკიდევები თავიდან მოიშორეს, სადაც გინდათ გვიჩვილოთ“.

ასეთი რამ მოკიდევითავე არავის უთქვამს, ეს მთარული ფრაზაც მოგინდია.

6) „თითარანთ ქვრივისა არ იყოს, რკინის ქალაქში და რკინის ჯიხის აღჭურვილობა ბიჭებმა შემობარეს ყველა ინსტანცია, მაგრამ ამაღურა“.

სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არც რაიკომისკომში, არც კომკავშირის ცენტრალურ და რაიონულ კომიტეტებში, არც საქალაქო და რაიონულ სპორტკომიტეტებში არ მისულა არც ერთი ბავშვი, არც ერთი მშობელი, მოკიდევითავე არც ერთი მწვრთნელი. ბატონი ავთანდილიც მხოლოდ კომკავშირის რაიკომში იყო და იქ მიღებული ინფორმაციაც, სამწუხაროდ, დამაინტერესებლად გამოქვეყნდა გახსნა „ლელოში“. ან იმიტომ, რომ ასე უფრო მოერგო თავიდან შედგენილ გეგმას — რომ, წერილი რაც შეიძლება სენსაციური და მოღურად კრიტიკული ყოფილიყო, ან მეორე, უფრო სასურველი და უბრალო მიზეზი, წერილი შეხვედრიდან კარგა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა და ბატონ ავთანდილს კი... მაშინდელი საუბარი არ ჩაუწერია.

7. „არც კომკავშირის (კუ-ს არც რაიკომის არც ერთ წარმომადგენელს ამ რვა წლის განმავლობაში იქ ერთხელაც არ შეუდგამს ფეხი?“

ნეტავ მართლა ასე ყოფილიყო, ნეტავ მათ თვალებს არ ენახათ ის, რაც იქ ნახეს. ჭერ ერთი, საშინელი ანტისანტიკარია და სინესტე (ამას ჭყონიას ახსნა-განმარტებაც დასტურებს), მეორე... ამის შესახებ ბოლოში მოგახსენებთ.

8. „უფრო მეტად სხვა ქუჩებშიდან ვარკობდნენ ბიჭები“ — სხვაგან ეს არგუმენტი მოათარეს ყურითო“. წერთ ბატონო, საინტერესოა, სად „სხვაგან“? თქვენ ხომ მხოლოდ რაიკომის მდივანს შეხვდით, მას კი ასეთი რამ თქვენთვის არ უთქვამს.

9. „თუ ბატონი გვიყვარებაშვილი ნაწყენი რჩება, რომ ჩვენს მიერ დაშლილ კლუბს მისი სახელი ერქვა, შეგვიძლია გამოვასწო-

როთ შეცდომა — მის სახელს ახალ ათლეტურ კლუბს დავარქმევთო (!?)“

ბოლოში კითხვა-ძახილის ნიშანიც დაეცა, ბატონო ავთანდილი, თქვენივე შეთხუილი ფრაზისთვის. რაიკომში ასე ვითხრის: „თუ ჭიდაობაში ვარჯიშის მსურველი ბავშვები იქნებიან, ბატონი გვიის სახელობის კლუბი ადგადგინოთ და ლეონებიც შევიტანოთ. იქ დადგეული „ტრენაჟორებიც“ გამოადგები მოკიდევებისო“. მაგრამ ეს რომ დაგეწერათ, თქვენი წერილიც ხომ ასე რადიკალურად კრიტიკული აღარ გამოვიდოდა.

10. „ზოგი ბიჭუნა ისევ ქუჩის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელთაგან ერთი სკოლიდანაც გარიცხეს, მეორის მშობელი შეეხვეწა ჭყონიას, ვარჯიშის შეწყვეტის შემდეგ იგი ბიჭი ლამის შინ აღარ ათავს, ვიცი, შენი გრიბობა და პატვის გცემდა, მიშველე, იქნებ დაგიჭეროსო, მესამე წერილში ხელიდან მოგვარეოთ“.

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ბატონი ავთანდილი პედაგოგია და წერილის ამ ნაწილში გვარები შეგნებულად არ დაასახლა, ბიჭები რომ არ შეეცხვიანო. აი, ძვირფასო მკითხველო, გრიბოედოვის №14-ში მოგარჯიშე ბიჭებიდან სკოლიდან არავინ გაურიცხავთ, არც წერილში ხელგნობისათვის მოხვედრა ილია ვინმე მილიციაში (ყოველ შემთხვევაში, რაიონის მცხოვრები), ეს ყველაფერი თქვენი თვალუბრისას ხსენებდა და ფერების გასამუქებლად დაიწერა, ან პატრიკეპელი პუბლიცისტის ლაგამიშვილმა ფანტაზიამ შეა.

11. „გრიბოედოვის №14-ში, როცა საკიდაო დარბაზი მუშაობდა, რაიონის ხელმძღვანელებმა დაანადგინეს იცოდა მისი არსებობა“.

თქვენივე სიტყვებს ეწინააღმდეგებით, ბატონო ავთანდილი, თუ არავინ იცოდა საკიდაო დარბაზის არსებობა, მაშინ ამას რატომღა წერთ: „რაიონის ხელმძღვანელობამ მოკიდევითავე ანაერთი თხოვნა დარბაზის რემონტის შესახებ რამდენჯერმე უყურადღებოდ დატოვა“. ვფიქრობთ, რომელიც (თუ ორივე არა) წინადადება არასწორია.

12. ავტომელები რა აზრს რაიონის ხელმძღვანელობის ინდიფერენტობის შესახებ, შეურაცხყოფაზე გადადიანოთ: „გაზეთებისაც აღარ კითხვობდნენ ეს დალოცვილებო“ და ციფრები მოგყავთ, რომ 8 წელიწადში 8-ჯერ დაიბეჭდა საკიდაო კლუბის შესახებ გახსნა „ლელოში“, მათ შორის თქვენი წერილიც ყოფილა.

ამ ბოლო 8 წლის „ლელოს“ ნომრებს ნამდვილად არავინ შეამოწმებს, მაგრამ თქვენ კი ჩანს არ წავიკითხავთ გასულ წელს „ათლეტთა კლუბის“ შესახებ 3 წერილი, მათ შორის 2 ვახუთ „ლელოში“ და არც ტელევიზორში ვინახავთ ამგვარი კლუბის შესახებ სიუჟეტი, მაგრამ ჩვენ არ ვახუთვით, რომ თქვენ არ უყურებთ ტელევიზორს და არ კითხვობთ გახუთებს.

13. „ბოლო ხანს სეოკის სახელზეც შემოვიდა წერილი“ — ეს კი სწორია, ბატონო ავთანდილი, ოღონდ ერთი შესწორებაა შესატანი. ეს წერილი მშობლების კი არა, მწვრთნელის გ. სუთიაშვილის შედგენილია (თქვენი რჩევით). ან ნაწყენი ნორჩი მოკიდების, ვანტანგ ბერულავას ახსნა-განმარტებით ბარათიდან: „1990 წელს, 3

აპრილს ვიცილი სუთიაშვილი და იბარა მამანინი სკოლაში და ხელი მოაწერინა გრიბოედოვის №14-ში ხელმოწერა (სტილი დაცულია).

14. ებოლოგი „არასასიამოვნო ფაქტით“ ანუ „გვიც ენთუზიასტები“ თუ „უკვიანი პრაქტიკოსები“.

მოდით, ძვირფასო მკითხველო, ბატონო ავთანდილი, გავხსნათ ყველა ფრაზილი: რატომ დაიწერა წერილი?!

დავბრუნდეთ ცოტა უკან და გავხსენოთ ერთი ფაქტი: ამ 2 წლის წინათ „რაიონის სპორტკომიტეტი“ მომართობდა ახალგაზრდობის ხელმძღვანელები“ ერთად იყვნენ ჩასული გრიბოედოვის №14-ში. წერილის ავტორის გასაკვირად, ბავშვების ბედიდან დაინტერესდნენ... და რა ნახეს... ბავშვები საკმაოდ „მოზრდილიყვნენ“ და კარგად დაეწყეთ ვარჯიში. კითხვაზე, თუ როგორ მოხდნენ ისინი აქ, გვიპასუხეს: „დარბაზში მოკიდევითავე მწვრთნელებმა შემოგვიშვესო“. თუ რატომ შეუშვეს, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მივცინდით, შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში კარგად სავროდ აკრძალული იყო. სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იძულებული გახდა დარბაზის საკიდაო გამოეცვალა, მწვრთნელები კი მკაცრად გაეფრთხილებინა.

ესეც შენი „გვიც ენთუზიასტები“, ძვირფასო მკითხველო! როგორ ფიქრობთ, მოკიდევითავე მწვრთნელი მართლა „ენთუზიასტები“ გაუყვეით ამდენი „შრომა“? თუ პირიქით — „უკვიანი პრაქტიკოსობით“? ცნობისათვის: ა. ჭყონის მუშაობა და დარბაზის ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოება შევარდნის მწვრთნელად, სიდაც, ბუნებრივია, ხელფასსაც იღებს.

კარგისთვის ამბავი ხომ თქვენც იცოდით, ბატონო ავთანდილი? რატომ არავინ ჩაწერეთ ამის შესახებ იმ წერილში?!

იმიტომ, რომ მერე მწვრთნელები იტყვიანე სიმართლეს. სიმართლე კი ასეთია: თქვენს ლექციებს ნორჩებს წელიწადში 3-4-ჯერ უკითხავდით. თუცა წერთ „თითქმის ყოველ თვეს ვკითხვობდით ლექციებს ამ დარბაზშიო...“ ეს ბავშვებმა დაწერეს თავიანთ ახსნა-განმარტებით ბარათებში. ამ „ლექციებში“ კი ხელფასს იღებდით.

აი, ხედავთ მკითხველო, არც ბატონი ავთანდილი ყოფილა მხოლოდ „ენთუზიასტის მსხვერპლი“.

ბატონი ავთანდილი ციხაძე არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი და, რაც მთავარია, პედაგოგი, ბავშვების აღმზრდელი... და თუ ის ასეთი მეთოდებით, ასეთ სიმართლეს ასწავლის ნორჩებს, მაშინ... — უკვე დავდუპლავართ და ის არის, ბატონო ავთანდილი!

გ. მამუშაძე, კალინინის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

ლ. ჩიკვაძე, კალინინის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი;

ბ. სომხრიანი, ათლეტთა კლუბის ხელმძღვანელი.

გთხოვთ, მონორჩი გადარიცხოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ანგარიშზე.

## სტუდენტების

### მონაწილეობა

თბილისის კადრაის სასახლეში დამთავრდა საქართველოს პირველობა სწორედ კადრაის (30-30 წუთიანი პარტიები).

შეჯიბრებაში, რომელიც შევიცარილი სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 42 მოკადრაცი. მათ შორის ორი საერთაშორისო ოსტატი — ზურაბ სტურუა, იგორ ეფიმიოვი, 7 ოსტატი და დანარჩენი კი — ოსტატობის კანდიდატები იყვნენ. ტურნირში კონკურსგარეშე მონაწილეობდა ჩვენს დედქალაქში სტუმრად მყოფი გერმანული ფედერაციული რესპუბლიკის დელეგირებული მოკადრები.

როგორ და დაბაბულ ასპირელი, ადგოლო და რესპუ... კის ჩემპიონის წოდება მიიპოვა თბილისის სახელმწიფო

## სსოვნას მიიპოვა...

დადიოდა თბილისის ქუჩებში სიოცხლით სასე და რომანტიკოსი კაცი — ავთო ცნობილია. პროფესიაც რომანტიკული ჰქონდა, გეოლოგი იყო და, ალბათ, ესეც უწყობდა ხელს საქართველოს სიყვარული საქმეში გაეცნადებინა. ჰქონდა თავისი „სისუსტეებიც“... უყვარდა ოჯახი, შვილები, მეგობრები და კიდევ... ფეხბურთი.

ეს იყო მიზეზი, რომ ჭერ კიდევ სიოცხლშივე, 1979 წელს, გაიმართა მისი სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში და მაშინვე ამ ასპარეზობას გულშემატკივარად დიდი ინტერესი მოჰყვა.

მერე მომდევნო წელს ტკივილი დაავადებულიყო სპორტის სასახლის ყოველთვის მზიარულ დარბაზში. აღარ იყო ავთო ცნობილია. არადა, სულ 29 წლისა იყო. დავიტოვა თავისი სახელობის ტურნირი, როგორც წინათგანობა, როგორც აუხუნეული სიხარბი.

უნეფერსიტეტის სტუდენტმა ზაზა ხოფერიამ (მწვრთნელი ქ. ტრაპაძე), რომელმაც ყველა პარტია მოიგო და 7 ქულა დააგროვა. 6 ქულით მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მეორეკურსელ ალექსანდრე დგებუაძეს. 5,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გივი გოგიჩაიშვილი.

დებულების თანახმად I-II ადგილების მფლობელნი მონაწილეობას მიიღებენ საქართველო პირველობის მსგავს ტურნირში, რომელიც ამ თვის ბოლოს მინსკში ჩატარდება.

პასილ ვაშაძე.

სსოვნას მიიპოვა...  
წელსაც შეიკრებენ მეგობრები — კოლეგები ტურნირის ჩასატარებლად. ერთ სუთქვად იყო შეკრული მაყურებელი, რომელთაგან უმრავლესობა ავთოს ნაწილ-მეგობრები იყვნენ.

ყოველწლიურად ტურნირის ორგანიზატორი საქართველო გავრთიანება „საქგეოლოგი“ და რესპუბლიკის გეოლოგიურ საბინაო სამუშაოების მუშაობა პროფესორების რესპუბლიკური კომიტეტია. ბუნებრივია, შეჯიბრებაში ამ სისტემაში შემავალი ექსპედიციების ფიზიკულტურული კოლექტივები მონაწილეობდნენ:

ტურნირში ორ ქვეჯგუფად დაყოფილი 10 გუნდს მონაწილეობდა. დამატული და საინტერესო შეხვედრების შემდეგ 4 უძლიერესი გუნდი გამოვლინდა — III ადგილისათვის ერთმანეთს შეხდნენ თერმულ წყლებზე ღრმა ბურღვის ექსპედიციის და გეოფიზიკის ინსტარიტეტის გუნდები. შეხვედრა გარდასავალი უპირატესობით მიმდინარებდა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. მინიმალური სხვაობით — 2:1 გაიმარჯვა თერმულ წყლებზე ღრმა ბურღვის ექსპედიციამ.

ფინალში კი იბრძოდნენ რეგიონალურ სამუშაოებზე გეოფიზიკური და ფერადი ქვების გეოლოგიური ექსპედიციები.

შეხვედრის დაწყებამდე წუთიერი ღუმლით პარტივი სცეს ავთო ცნობილია და 9 პარტიის გმირთა სლოგანის (შარშან ტრაპაძე) გამო ტურნირი არ გამართულა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა რეგიონალურ სამუშაოებზე გეოფიზიკურმა ექსპედიციამ და დაისაყურა ცნობილია პრიზი.

ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები.

0564 ჩახვაშვილი.



# კასი, როგორსაც კლიერ უყვარს სამართლად

**ორშაბათს**, 23 აპრილს, დილით, თუგოსლაველი ილია იორგა უკვე თბილისში იქნება. იგი აქ ჩაბრუნდა სემინარების და ერთობა-ლოვ საფრთხელ მეცადინეობებს ქართველ კარატისტებთან. იქნება სპორტის ეს სახეობა მიმდინარეობს არ გეგმიური, მაგრამ ნუ აჩქარდება, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ცნობა თქვენ სრულიად არ გეხებათ. რა, ვინა თქვენ არ გაინტერესებთ ქართული სპორტის მომავალი?

თუ გაინტერესებთ, მაშინ უფროდ გემსხვრებათ ეს თარიღი: 1989 წლის 6 ოქტომბერი. ამ დღეს თბილისში შედგა საქართველოს ერთგული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია. მაგრამ იმისთვის, რომ სეკი-ი აღიაროს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, მხოლოდ ოფიციალური რეგისტრაცია, სამწუხაროდ, არ იქნება. ოლიმპიური ქარტის თანახმად, ამისთვის აუცილებელია წარმომადგენლები გეყავდნენ, სულ ცოტა ხუთ საერთაშორისო ფედერაციაში (აქედან სამი ოლიმპიური სახეობის ფედერაცია უნდა იყოს). ეს მეტად რთული ამოცანაა, რადგან საბჭოთა კავშირმა ადგილები დაკავშირა საერთაშორისო ფედერაციებთან უმეტესობაში, სადაც ყველა — თსუმიტივე მოკავშირე რესპუბლიკის სახელით გამოდის.

ესე იგი, ნებისმიერი ცალკეული რესპუბლიკის გაწევრიანება, რომელიმე საერთაშორისო ფედერაციაში ავტომატურად იქცევა მისი სუვერენიტეტის აღიარება. ასე გადადის სპორტული მოვლენა პოლიტიკის რანგში.

ილია იორგა, ევროპის სამეზბის ჩემპიონი კარატეში, შავი ქაბრის, მეშვიდე დანის მფლობელი, ფედერაციის-კარატეს საერთაშორისო ფედერაციის დამაარსებელი და ტექნიკური დირექტორი, უდავოდ, ვაჟაკურ ნაბიჯს დგამდა, როცა 1990 წლის 5 იანვარს პირველმა გაბედა საქართველოს ფედერაციის-კარატეს ფედერაციის დამფუძნებელ წევრად აღიარება. მან, როგორც ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის (იტკფ) დირექტორის წევრად, ასევე საერთაშორისო მხარის საქართველოს პერუში გამართულ კონგრესზეც, ამა წლის მარტში, მისი მონაწილეობა გახლდათ ერთ-ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემადგენელი ნაწილი თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელი მოვლენისა: საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია 1990 წლის 9 მარტიდან საერთაშორისო

ფედერაციის — იტკფ-ის სუვერენული წევრია.

მაინც ვინ არის ეს კაცი, დიქტორი იორგა? იგი ბელგრადის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორია. წლეულს ორმოცდაათის სრულდება. ტატამზე უკანასკნელად 41 წლის ასაკში გამოვიდა. იმ დროისთვის თუგოსლაველის ათვის აბსოლუტური ჩემპიონი იყო და ამ ქვეყნის საუკეთესო კარატისტად გახლდათ აღიარებული. იორგას, როგორც არბიტრის, მინიჭებული აქვს უმაღლესი („ა“) საერთაშორისო კატეგორია, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მსაჯობის უფლებას აძლევს. ილია იორგა ძალიან ძლიერი და მამაცი ადამიანია.



ილია იორგა

1971 წელს იგი მოტეხილი ფეხით გამოვიდა სარბიელზე და ევროპის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. ფინალში მისმა მეტოქემ, ფერის ჩემპიონმა პანდელმა, აკრძალული ილეთი ჩაატარა (ეს მსაჯმა ვერ შენიშნა) და იორგას უმძიმესი ტრავმა მიყენა. მაგრამ, როგორც კი ექიმმა ფეხი შეუხვია, იორგა კვლავ დადგა საბრძოლო დგომში. ეს შემთხვევა ლეგენდარია კარატეისტების შორის.

მიუხედავად ამისა, მგონია, ბევრად მეტი გაბედულება და სიმტკიცე სჭირდება იორგას მისი ქართული კარატეს საერთაშორისო აღიარების მიზნით გადადგმული ნაბიჯებს. ამიტომ პირველი სიტყვები, რომლებსაც ორშაბათს საქართველოში ჩამოსული ცნობილი იუგოსლაველი კარატეისტი ჩვენთან მოსმენს, ასეთი იქნება: — დიდი მადლობა, ბატონო იორგა!

პავი ბოგორივილი.

## საზღვრად კომპოზიცია რესპუბლიკის პირველობა

საზღვრად კომპოზიციების ამოხსნა ჰიდრაის მოყვარულთა შორის ფართოდ გავრცელებული საინტერესო, სახალისო და აზარტული გონებრივი საქმიანობაა, რომელსაც გარკვეული პროფესიონალი ცოდნა და ნიჭი სჭირდება. ამ ფაქტს კარგად ადასტურებს თვით ჩვენი რუბრიკაც, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობას ძირითადად სწორედ რესპუბლიკის ამომხსნელები უწევენ. ამოცანის და ეტყობის შემდგენელის შრომაც უმთავრესად მათთვის არის გაკეთებული, რადგან სწორედ ეს უკანასკნელია კომპოზიციის ქმნილების გამომცემელი, შემფასებელი და პოპულარიზატორიც. ოღონდ, მასაც ესაჭიროება სისტემატური ყურადღება, ერთგვარი წახალისება, კლასის ამაღლება და სრულყოფა, რაც მხოლოდ სპეციალური სპორტული ჰაერის გზით შეიძლება განხორციელდეს. ამიტომაც ასე დიდად პოპულარულია ამომხსნელთა კონკურსები, რასაც ხანგრძლივი ისტორია აქვს მსოფლიოს საქართველოში.

არე ამომხსნელთა შეჯიბრის საყოველთაოდ აღიარებული და გავრცელებული ფორმა იყო დასავლურულ კონკურსი, რომლის მონაწილე განსაზღვრულ ვადაში ვალდებული იყო ყურადღებას მიაქციოთ თავისი შრომის შედეგს. ცხადია, შინ მუშაობის პირობებში ძნელია ყურადღებას მიაქციოთ დავალებს მონაწილემ, თუ მას ანონიმური დახმარებებიც ჰყავდა. მიუხედავად ამისა, კონკურსის ეს ფორმა, რომელსაც საქართველომ ესთეტიკის შემეცნების და საერთოდ ჰიდრაის გავრცელების საბატიო მისია აკისრია, დღესაც ინარჩუნებს თავის მიმზიდველობას და საკომპოზიციო შეჯიბრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ამასთან მასობრივ სახელ რჩება.

მაგრამ, უკანასკნელ წლებში, ამომხსნელის სიძლიერის, ქვემარტივ ოსტატობის, გამჭვირვაბის და სხვადასხვა სპორტული თვისებების გამოვლენების საშუალებად დასწრებული კონკურსები იქცა. აქ ყველა მონაწილე ერთ დარბაზში იჯობება, ცალკე მაგიდას უზის და ჰიდრაის სამი კომპლექტითა შეწყობილი მსახიობთა დანაწილებით იმუშაოს. საქართველო კომპოზიციის საერთაშორისო კომისია უკანასკნელ წლებში რეგულარულად ატარებს მსოფლიოს გუნდურ და პირად პირველობებს. ბევრ ქვეყანაში იმართება ჩემპიონატებიც. შემოღებულია საერთაშორისო დიდოსტატის და ოსტატის წოდებებიც ამომხსნელთა შორის.

საერთაშორისო წესებით დასწრებული შეჯიბრება ორი დღის განმავლობაში იმართება და 6 ტური-საგან (დღეში 3 ტური) შედგება. ყოველი ტური ანუ რაუნდი ერთი საკომპოზიციო წარბის 3-3 ნაწარმებით არის წარმოდგენილი: პირველი დღეს მონაწილეებმა უნდა ამოხსნან: I ტურში — ორსულიანი (ამოსხსნელი დროის საერთო ლიმიტი 20 წუთი), II — სამსულიანი (60 წთ.) III — ეტყულები (100). მეორე დღე ეძღვნება ამოცანებს ნაიშმათზე (IV-50), მრავალსულიანებს (V-80) და ამოცანებს თვითშმათზე (VI-50). ტურებს შორის ცხადდება 15-წუთიანი შესვენება.


ყოველი კომპოზიციის სწორი და სრული ამოხსნისთვის დაწესებულია 5 ქულა, ე. ი. მონაწილეს შეუძლია დააგროვოს მაქსიმუმ 90 ქულა. ერთი ვარიანტის გამოტოვების ან არასწორი გაგრძელების (ავტორისეულთან შედარებით) ჩვენების შემთხვევაშიც კი მონაწილე ჯარიმდება. მიუხედავად იმისა, თუ მონაწილე რამდენ ამოხსნას იპოვს ან მიუთითებს, პასუხში მხოლოდ ერთი ამოხსნა იწერება. ორი თორღოქული ამოცანების ამოხსნებში უნდა აღინიშნოს ყველა

## საზღვრად კომპოზიცია

სვლა შეეძლოს უკანასკნელი და თვითონების დამაზნაბებელი სვლების გარდა. ეტყულებში მონაწილემ უნდა მოეყვანოს ყველა ის ვარიანტი, რომელიც მისი აზრით ავტორის ჩინაფიქრს გამოხატავს. ხალიშამათში ორივე მხარის ყველა სვლა უნდა აღინიშნოს, თვითშმათში კი შავების ბოლო (დამშმათებელი) სვლის დაწერა სავალდებულო არ არის.

ეს სავალდებულო წესები კიდევ ერთხელ გვიხსენებენ შეგახსენოთ საქართველოს უდიდესი ამომხსნელები, რომლებიც 28-29 აპრილს შეიკრიბებიან ქ. თბილისში (ა. წერეთლის პროსპ. 95-ა, პროფკავშირების სპორტსაზოგადოების მსოფლიოს მანქის საჯარო ოთახში, I სართ.), სადაც ჩატარდება რესპუბლიკის დასწრებული პირადი პირველობა საქართველო კომპოზიციების ამოხსნაში. შეჯიბრების მთავარი მსაჯი თიღის საერთაშორისო არბიტრი ვ. ნეიძე. დასაწყისი 12 საათზე.

გთავაზობთ გამორჩეული ესპანელი პრობლემისტი ნაწარმოებს, რომელიც კარგ საგარჯიშოდ შეიძლება გამოდგეს მომავალი პირველობის მონაწილეთათვის.



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნას, ძვირფასო მეგობრებო!

## კალიდოსკოპი

**ამერიკის** შეერთებული შტატების ჩოგბურთის ორგანიზაციები დიდძალი თანხის დაბანდებას აპირებენ, რათა დაიბრუნონ მოწინავე პოზიციები. ამ მიზნით ქვეყნის სხვადასხვა რაიონში რამდენიმე საოცრებულად კომპლექსი შენდება. ამას ვარდა, 1991 წლის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ ამერიკელები მიწის კორტებზე სამ საერთაშორისო ტურნირის ჩატარებენ (თითოეული კომპლექსი ფონდი 150 ათასი დოლარი იქნება).

## კალიდოსკოპი

**კალიდოსკოპი** უსასრულობს გამო ბევრი სპორტული დაიხურა, მათ შორის კალათბურთის, ფრენბურთისა და ველოსპორტის კლუბები. ჯერჯერობით მტკიცე პოზიციებს ინარჩუნებენ ძიუდოსტები, ისიც იმიტომ, რომ თითქმის ყველაგან შექმნილია ამ კიდაობის შემსწავლელთა ფასიანი კურსები.

## კალიდოსკოპი

**ჩინოვალთა** ჩამოაყალიბეს ახალი პარტია — ჯანმრთელობისა და სპორტის დემოკრატიული კავშირი. პარტიას მიზნად აქვს დასახული დივიცის სპორტმენთა და ფიზკულტურელთა ინტერესები.



## პროფესიული კალათბურთის მზავი

### დასავლეთის კონფედერაცია

(წევარი ოკეანის დივიზიონი)

**ამერიკელი** ქურთაოსტი ბარი უანოვი „ბასკეტბოლ ერინას“ 1990 წლის მარტის ნომერში მიმოხილავს დასავლეთის კონფედერაციის გუნდების თამაშებს.

1. „ლოს-ანჯელეს ლივერისი“. „მაგური კაცი ირვინ ჯონსონი რჩება გუნდში, მაგრამ გუნდის საჩემპიონო ალტკინება კი თანდათან კლებულობს: 80-იანი წლების საუკეთესო გუნდში აღარ არის აბდულ ჯაბარი, რომელიც იმედიანად თამაშობდა ფარქვეშ. პატ რაილს ის-და ისე ჩინია მაკლ ტომპსონის იმედით იყოს: ის აშკარად უფრო ტანდაბალია ვიდრე ამ კონფედერაციაში მოთამაშე სხვა ცენტრები, თუმცა იუგოსლავიდან გადმოსული ვლადო დივანი ყველაფერს აკეთებს, რომ გაამართლოს პატ რაილის შეძახილი — „ყველაფერი რიგზეა“.

2. „ფინიქს სანზი“. „კოტონ ფიციმონი აღიარებულია 1988-89 წლებში სეზონის კალათბურთის ერთგული ასოციაციის საუკეთესო მწვრთნელად. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ფინიქსმა შესამჩნევად გააუმჯობესა თამაში. თუ 1988 წელს მისი შედეგი მეტად მოკრძალებული იყო (28 მოგება, 54 წაგება), მაშინ გაცილებით უკეთ თამაშა. (55-27). გუნდი წელს უმჯე-

ლად გამოვა კონფედერაციის ფინალში და იერიშსაც მიიტანს ლივის ჩემპიონის ტიტულზე, რომელსაც სულ ბოლოს ფინიქსი 1975-76 წლებში ფლობდა. რატომ? იმიტომ, რომ ფიციმონი ლივის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. გუნდის წამყვანი კალათბურთელი ტონი ჩემბრისი კი მიზანდასახული კაცია. მკვეთრად გააუმჯობესა თამაშის კლასი ტანდაბალმა მცველმა კევინ ჯონსონმა და ბოლოს, არის იღვე ერთი მიზეზი — „ლოს-ანჯელეს ლივერისი“ ახლა აშკარად არ არის ფორმაში, ხოლო დივიზიონის სხვა გუნდები ფინიქსს კლასით და თამაშის მანერით ვერ შეედრებიან“.

3. „პორტლენდ ტრილე ბლეზერისი“. „მწვრთნელის რიკ ადელმანის შეკრებილი სასტარტო ხუთეული ძლიერი, შეუპოვარი და უღრეკია. შეტევითი გამორჩევისი კვირად დაქურობით, ჯერომ დერსი და ბაკ უილიამსი. დაცვაში კი კლოდ ღრეკსლერი და ტერი პორტერი. სამაგიეროდ, გუნდის სთადარიგო სკამი ძალიან „სუსტია“. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გუნდს უკინის მატრის ბოლო წუთებში თამაში და ხშირად აგებს მატრის მინიმალური ანგარიშით. შარშან ასე წააგო 11 შეხვედრა. წელს გუნდი, ალბათ, 50-მდე მატრის მოგებას მოახერხებს (აღსანიშნავია, რომ ევრო-

პის უბრველესი კალათბურთელი, სახელგანთქმული იუგოსლაველი დრავენ პეტროვიჩი აშკარად არ ჩანს პორტლენდის ვარსკვლავების ფონზე“.

4. „სიეტლ სუპერსონიქსი“. „როდის აღიღვენს ეს გუნდი თავის პოტენციალს? ბერნი ბიკერსტაფი ნაბს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მისი შერჩეული სასტარტო ხუთეულიც არაა ცუდი. დელი ელისი, ქსავიერ მაკდანიელი და ნგით მაკლიზანი სოლიდური ძალაა. პოტენციალად სიეტლს 50-ზე მეტი მატრის მოგებაც კი შეუძლია და მიინც მგონია, რომ წელს მისთვის მესამე ადგილი დივიზიონში კარგი შედეგი იქნება და „პლეი-ოფში“ ბევრის იმედი არ უნდა ჰქონდეს“.

5. „გოლდენ სტეიტ უორტიორზი“. გუნდს ორი გამოკვეთილი ვარსკვლავი ჰყავს: კრის მულინი და მიტჩ რიჩმონდი, მაგრამ ლარი სმიტის გადასვლამ პიუსტონში და ცენტრის რაულ სამპსონის უდიდებოთ თამაშმა მწვრთნელ ღონ ნელსონს დივიზიონში პირველ ადგილზე გასვლის იმედი გადაუწურა. შედეგია — რომ ამ გუნდისთვის პირადად არაა. ალბათ, კვლავაც მრავალი ლაბა და შედეგია ტყორცებით გაგვახარებენ მულინიც, რიჩმონდიც და ახლადგადმოსული შარუნს მარჩიულონისი, რომელიც უპირველესი სწავილი იყო 1988 წელს ოლიმპიური ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის გუნდში, მაგრამ დაცვაში კი ყველაფერი როდია რიგზე. ამიტომ ამ სეზონში არასასიამოვნოდ მაღალია მიღებული ბურთე-

ბის რიცხვი. თუ ასე გაგრძელდა ეს, კარგს არაფერს უნდა ველოდეთ“.

6. „საკრამენტო კინგზი“. „ამ გუნდმა 1989 წელს „დრაფტ ჩოისში“ საუკეთესო არჩევანი გააკეთა. ლუისვილის უნივერსიტეტიდან პერვის ელისონი აიყვანა, მაგრამ მარტო ეს ერთი მოთამაშე ვერ შეძლებს გუნდის კლასის ამაღლებას. მწვრთნელ ჯერი რენოლდსის რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშე ჰყავდა, თუმცა მათზე ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, რომ ჩამოყალიბებული კალათბურთელი არიან. მიუხედავად გულშემატკივართა მზურვალ მხარდაჭერისა, მარტო ენთუზიაზმით შორის ვერ წავლენ“.

7. „ლოს-ანჯელეს კლიპერისი“. „კლიპერის ხერხს რომ შევადაროთ, ბოლო სეზონში ეს საკმაოდ უკმაყოფილო იქნება. ბოლო წლებში ეს გუნდი ნაბს ჩემპიონატის ერთ-ერთ ტრადიციულ აულტაიდერად გვევლინებოდა. ნაწილობრივ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს დანი მანინგის ტრავმასთან. იგი 1988 წლის „დრაფტ ჩოისში“ პირველი იყო, წინა ჩემპიონატში კი 56 მატჩი გამოტოვა. ევროპაში გამგზავნება ამჟამინა სტუდენტური კალათბურთის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა დანი ფერმ. ის უკმაყოფილო დარჩა სეულეციის შედეგებით (ფერმი ხელი მოაწერა კონტრაქტს იტალიის კლუბ „მესაჯეროსთან“).

## საზღვრად კომპოზიცია

**შერბანაში** დაიწყო ბალახის პოკისეტი ვაჭთა პირველი ლიგის საკავშირო პირველობა. წარმატებით დაიწყო ასპარეზობა ქუთაისის „ლოკომოტივმა“. პირველ შეხვედრაში მან დაამარცხა ერენის გუნდი — 2:0, მეორეში — ბაქელი პოკისეტი — 1:0.

**ნიკა**. ანდრეი ჩერკასოვი გავიდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში მან ამერიკელი ჯეი ბერგერი დაამარცხა 2:6, 6:1, 6:3.

**მალბა**. ევროპის იუნიორ ძიუდოსთან ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებს მეოთხე ოქროს მედალი მოუტანა 82 კგ წონის ათლეტმა, აშხაბადელმა ო. კომლევმა. ორტილის ჯამში მან 345 კგ. დააგროვა.

**პარიზი**. აქ მიმდინარე მრავალდღიანი ველორბოლის მეოთხე ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა დმიტრი პიანიხინმა, რომელმაც 192-კილომეტრიანი დისტანცია დაფარა 4:31.49-ში. იგივე დრო ჰქონდა ეტაპზე გამარჯვებულ ჰოლანდიელ რიპარდ ლუქსს.

**მოსკოვი**. ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატზე 18 წლის ვორონეჟელმა ალექსანდრე ხრომინმა იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1000 მეტრზე გიტში (სვლით) — 59,988.

## რედაქტორის მოადგილე

**უ. ზიზინაძე**

თბილისის „ბერიის“ საფეხბურთო კლუბი და ფეხბურთელთა გუნდი თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის ოსტატ ჯემალ ზეინკო-შვილს ღედის

**გოგუცა ალექსანდრეს** ახულ მაჩიტაძე-ზეინკოშვილის გარდაცვალების გამო.